



# თემის ხმა სტიგმის წინააღმდეგ

აქტივიზმი თანასწორობისთვის

ღებუქ თემის წევრებთან და აქტივისტებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების  
ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

LLC MILKYWAY / თანასწორობის მოძრაობა  
თბილისი, 2018


## ზოგადი მიმოხილვა

კვლევა ჩაატარა კომპანიამ LLC MILKY WAY „თანასწორობის მოძრაობის“ დაკვეთით. კვლევაში მოცემული კითხვების ნაწილი (გავრცელებულ სტერეოტიპებთან დაკავშირებით) ეფუძნებოდა „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ (WISG) მიერ 2016 წელს ჩატარებულ კვლევას „წინასწარგანწყობიდან თანასწორობამდე - საზოგადოების ცოდნის, ინფორმირებულობისა და დამოკიდებულების კვლევა ლგბტ ჯგუფისა და მათი უფლებრივი თანასწორობის მიმართ.“

კვლევა მიმდინარეობდა თბილისში და მასში მონაწილეობას იღებდნენ ლგბტქ თემის წარმომადგენლები. მონაწილეების შერჩევა ხდებოდა „თანასწორობის მოძრაობის“ მიერ. კვლევაში მონაწილეობდნენ ადამიანები, რომლებიც სარგებლობენ სხვადასხვა ლგბტქ ორგანიზაციის მიერ მიწოდებული სერვისებით, ასევე ისინი, ვისაც არასდროს ჰქონია ორგანიზაციებთან შეხება.

ფოკუს-ჯგუფები ტარდებოდა თბილისში, „თანასწორობის მოძრაობის“ ოფისში, 2017 წლის 1 ოქტომბრიდან 2018 წლის 30 აპრილის პერიოდში. მონაწილეები იყვნენ ინფორმირებული, რომ მათი ვინაობა იყო კონფიდენციალური და მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია კვლევაში განზოგადებული სახით იქნებოდა წარმოდგენილი. თითოეული ფოკუს-ჯგუფი შედგებოდა 5-10 მონაწილისგან, მათ შორის იყვნენ ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ქვიარ ადამიანები. ფოკუს-ჯგუფებში მონაწილეობა სულ 120-მა ადამიანმა მიიღო.

აღსანიშნავია, რომ კვლევის ფარგლებში ჩატარდა ფოკუს-ჯგუფები, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ: ა) ლგბტქ თემის წევრები შერეულად; ბ) მხოლოდ ტრანსგენდერი ადამიანები; გ) მხოლოდ ლესბოსელი, ბისექსუალი და ქვიარ ქალები.



## კვლევის შეზღუდვა

მიგვაჩნია, რომ კვლევის უმთავრესი შეზღუდვა არის, ის რომ რესპონდენტები შეირჩნენ მხოლოდ თბილისიდან, რის გამოც შეუძლებელია კვლევის შედეგების განზოგადება ქვეყნის მასშტაბით.

მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია ისიც, რომ არსებობენ თემის ისეთი წევრებიც, რომელთა ვინაობის შესახებ ინფორმაციას ჩვენ არ ვფლობთ. შესაბამისად, ასეთი ადამიანების ჩართვა ფოკუს-ჯგუფებში ვერ მოხდა.

### საკვლევი საკითხები:

- I. თემის წევრებისთვის დღეს ქვეყანაში არსებული მნიშვნელოვანი გამოწვევები;
- II. ლგბტქ სათემო ორგანიზაციების საქმიანობის, მათ შორის, არსებული სერვისების შეფასება და სასურველი ცვლილებები;
- III. ტრადიციული და ახალი მედია პოლიტიკა ლგბტქ ადამიანების შესახებ: არსებული პრობლემები და სასურველი ცვლილებები;
- IV. ლგბტქ ადამიანების შესახებ გავრცელებული სტერეოტიპები და კონტრარგუმენტების საკითხი.

### ფოკუს-ჯგუფების მიმდინარეობისას დასმული ძირითადი კითხვები:

- რა არის დღეს ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა ლგბტქ თემისთვის?
- რას შეცვლიდით ლგბტქ ორგანიზაციების მუშაობაში?/რა რჩევებს მისცემდით მათ?
- ყვითელ გადაცემებში და/ან ისეთ გადაცემებში, სადაც რადიკალურად განწყობილი ჰომოფობი მოწინააღმდეგეები გვხვდებიან, ღირს თუ არა მონაწილეობის მიღება?
- რა ინფორმაცია და არგუმენტები შეგვიძლია დავუპირისპიროთ ლგბტქ ადამიანების შესახებ გავრცელებულ სტერეოტიპებს?

## ძირითადი მიზნები

### I. თემის წევრებისთვის დღეს ქვეყანაში არსებული მნიშვნელოვანი გამოწვევები

#### თემის შიდა დაპირისპირება და ინტერნალიზებული ჰომოფობია

შეხვედრებისას გამოიკვეთა, რომ თემის წევრებს შორის დაპირისპირება წარმოადგენს თემის წევრებისთვის ყველაზე მეტად მტკივნეულ საკითხს. რესპონდენტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ხშირად გამხდარა თემის შიგნით ჩაგვრის მსხვერპლი, გამოიკვეთა, რომ იჩაგრებიან ფემინური გეები: „*მე მაგალითად ბევრჯერ გავმხდარვარ ბულინგის მსხვერპლი ისევ თემში, იმიტომ, რომ ვარ ფემინური გეი, საერთოდ ეს დაყოფაც მეზიზღება, ერთმანეთში ჩვენ რომ ვასხვავებთ და მერე რომ გვინდა, რომ საზოგადოებამ მიგვიღოს.*“. თემის წევრების აზრით, უპირველესად, დასაძლევია თემის შიდა დაპირისპირება, რის შემდეგაც მათ ექნებათ უფლება, მოსთხოვონ საზოგადოებას საკუთარი თავის მიღება. ასევე, გამოკითხვისას

გამოიკვეთა, რომ თემის შიგნით ბისექსუალებსა და ტრანსგენდერები აგრესიის მსხვერპლი ხდებიან და ისინი გარყვნილებასთან იგივედებიან.

*...“გადმოგვაქვს ჰეტერონორმატიული ღირებულებები, მასკულიური ტიპები ჯობნიან ფემინურ ტიპებს, გადმოგვაქვს მოდელი. გეები ლესბოსელებს ამცირებენ, და პირიქით.”*

გამოკითხულთა აზრით, თემის შიდა დაპირისპირების მიზეზია განათლების ნაკლებობა, არაინფორმირებულობა, საზოგადოების მხრიდან ჩაგვრა. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, საზოგადოებისგან მომდინარე აგრესიას თემის წევრები ისევე თემში გამოხატავენ და ერთმანეთს ებრძვიან.

გამოკითხულებს სურთ, რომ თემის წევრები მაქსიმალურად დაუკავშირდნენ ერთმანეთს, შეიქმნას კონკრეტული ჯგუფები, წრეები, სადაც თემის წევრები გაერთიანდებიან საერთო ინტერესების გარშემო, დაუახლოვდებიან ერთმანეთს, გაიზრდება ერთმანეთის მიმდებლობა და ამაღლება მგრძობიანობა. *„რომ თემის წევრები ნამდვილად დავაკავშიროთ ერთმანეთთან, ისეთი ინტერესები და ჯგუფები უნდა შევქმნათ, სადაც არ იქნება მარტო ორიენტაცია საერთო, არამედ ინტერესი, ჯგუფების წრეების, ხელობების სწავლა. აი მაგალითად, მუსიკა თუ გააერთიანებს, მუსიკის შექმნისადმი ინტერესი მაგალითად, მასკულიური და ფემინური გეის, ნაკლებად იქნება აგრესია.“*

### **თემი არ არის ხილული/თემის ხილვადობა**

რამდენიმე ფოკუს-ჯგუფებზე გამოიკვეთა, რომ თემის წევრებისთვის ერთ-ერთი დიდი პრობლემა არის ის, რომ თემი არ არის ხილული, მათი თქმით, თემი წევრების უმრავლესობა არის ინერტული და *„იმლება ბასიანისა და ჰორუმის უკან“*. ამაში კი იგულისხმება, რომ თემის წევრებს ნაკლებად სურთ აქტივისტურ საქმიანობაში ჩართვა, ლგბტქ ორგანიზაციებში, სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება და სხვ. მათ ინტერესი მეტწილად ღამის ცხოვრებაა და ურჩევნიათ მხოლოდ იქ იყვნენ ხილული.

### **თავშესაფარი**

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა უმრავლესობამ ერთ-ერთ ყველაზე დიდ პრობლემად თავშესაფრის არარსებობა დაასახელა. მათი თქმით, თემის უამრავ წევრს აგდებენ ოჯახებიდან, დევნიან სოფლებიდან, ჩამოდიან თბილისში, სადაც არ აქვთ საცხოვრებელი ადგილი. მათი აზრით, თავშესაფრის არსებობა გაზრდის თემის წევრების მზაობას, რათა მიიღონ განათლება და გადაჭრან თავიანთი სოციალური პრობლემები. თემი წევრების უმრავლესობა ბინის ქირის გადასახდელად მუშაობს, თავშესაფარში კი მათ ეს პრობლემა დროებით მოეხსნებათ და შეეძლებათ განათლებასა და პიროვნულ განვითარებაზე კონცენტრირება: *„ვიზრუნოთ მაგალითად იმ ადამიანებზე, რომლებსაც არ აქვთ თავშესაფარი. შემდეგში ამ თავშესაფრის არსებობა გაზრდის მზაობას თემის წევრებისთვის, რომ განათლებას მიხედონ და თავიანთ სოციალურ პრობლემებს რომლებიც აქვთ. ადამიანს რომელსაც აწუხებს -სად გაათენოს და სად ჭამოს იმისთვის ძალიან გაუგებარია ის თემები, საზოგადოება მიიღებს თუ არ მიიღებს.“* გამოკითხულთა ნათქვამის მიხედვით, ადამიანები ვერ ახდენენ საზოგადოებაში საკუთარი თავის რეალიზებას.

## რეგიონებში არსებული სიტუაცია

გამოიკვეთა, რომ თემის წევრებისთვის ერთ-ერთი დიდი პრობლემაა რეგიონებში სერვისების არარსებობა, იურისტებისა და ფსიქოლოგების მომსახურების არ არსებობა. რეგიონებში ეს საკითხი ტაბუდადებულია, თემის წევრებს არ ჰყოფნით გამბედაობა, გააკეთონ ქამინგ აუთი და მათ სჭირდებათ გაძლიერება. რეგიონებში მედიები არ აშუქებენ თემის წევრების ჩაგვრის ფაქტებს, აღინიშნა, რომ საჭიროა რეგიონულ მედიებთან კომუნიკაცია, რეკლამების გაშვება, რომ ლგბტქ ადამიანებს ხელი მიუწვდებოდეთ ისეთ ინფორმაციაზე, როგორცაა ორგანიზაციის დასახელება, მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია და ა.შ.

## სერვისების შესახებ თემის ინფორმირებულობა

ფოკუს-ჯგუფებთან შეხვედრებზე გამოიკვეთა, რომ თემის წევრებს აქვთ ინფორმაციის ნაკლებობა ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებით. ბუნდოვანია, თუ რას აკეთებენ ორგანიზაციები ყოველდღიურად თუ ყოველთვიურად. იურისტის, ფსიქოლოგის, აივ-ზე ტესტირების და სხვა კონკრეტული სერვისების მიწოდების გარდა რომელ პროგრამებსა და აქტივობებს ახორციელებს. თუმცა, ინფორმაციის ნაკლებობა არსებობს ორგანიზაციების სერვისებთან დაკავშირებითაც. ლგბტქ ადამიანების მცირე რიცხვს აქვს ინფორმაცია ასეთი რესურსების არსებობის შესახებ. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ საჭიროა ასეთი ორგანიზაციების არსებობის შესახებ და არსებული სერვისების შესახებ ინფორმაციის მეტად რეკლამირება.

დასახელდა ერთი კონკრეტული ინიციატივა: *„ინტერნეტში ძებნისას სიტყვა „გეი“-ზე ან „ლესბოსელ“-ზე პირველივე გამოჩნდეს ორგანიზაცია, იმისათვის, რომ თემის წევრებმა მიიღონ ინფორმაცია ორგანიზაციის არსებობის შესახებ.“*

ორგანიზაციების სერვისებზე საუბრისას, აღინიშნა ექიმების პროფესიულ ჯგუფში არსებული ჰომო/ტრანსფობიის შესახებ. თემის წევრები დადებითად აფასებენ „თანასწორობის მოძრაობის“ მიერ ექიმების სერვისის დანერგვას. გამოკითხულთა უმრავლესობა თანხმდება, რომ საჭიროა ისეთი პროფესიონალები, ვისთანაც არ მოუწევთ დეტალების დამალვა და დაფარვა მუშაობის პროცესში.

## თემის წევრების დასაქმების პრობლემა

ფოკუს-ჯგუფებზე დამსწრეთა დიდმა ნაწილმა აღნიშნა, რომ დასაქმების პრობლემა და შესაბამისად ეკონომიკური დამოუკიდებლობის არარსებობა ყველა სხვა პრობლემის საწყისია.

აღნიშნული საკითხის განხილვისას არაერთხელ აღინიშნა დასაქმების სფეროში ტრანსგენდერები ადამიანების დისკრიმინაციის პრობლემა. რესპონდენტების აზრით, ეს პრობლემა სისტემურია. ტრანსგენდერი ადამიანები ვერ საქმდებიან რამდენიმე მიზეზის გამო. ტრანსგენდერი ადამიანები ბავშვობიდან, 13-14 წლის ასაკიდან ტოვებენ ოჯახს და არ აქვთ მხარდაჭერა, შედეგად ვერ იღებენ განათლებას და ვერ ვითარდებიან სხვა თანატოლების მსგავსად. ამავდროულად, ქვეყანაში არსებული ტრანსფობიური

მდგომარეობა მათ მენტალურ მდგომარეობაზე ძალიან მძიმედ მოქმედებს. ამასთან, პრობლემას წარმოადგენს მათი პირადობის მოწმობები. საქართველოს კანონმდებლობით, ტრანსგენდერ ადამიანებს არ შეუძლიათ ოფიციალურ დოკუმენტებში სქესის ჩანაწერის ცვლილება სავალდებულო ქირურგიული ჩარევის გარეშე. შესაბამისად, პირადობის მოწმობაში ისეთი სქესის ჩანაწერის არსებობა, რომელიც მათ გარეგნულ მახასიათებლებს არ ემთხვევა წარმოადგენს პრობლემას და დისკრიმინაციის მიზეზს დასაქმებისას.

რესპონდენტების აზრით, ამ პრობლემების მოგვარება რა თქმა უნდა სახელმწიფოს ვალდებულებაა, თუმცა ლგბტქ ორგანიზაციებმა აქტიურად უნდა ისაუბრონ ამ თემებზე და აიძულონ სახელმწიფო, მიიღოს შესაბამისი ზომები.

ასევე გაჩნდა იდეა, რომ ორგანიზაციებმა ითანამშრომლონ კერძო სექტორთან, გააფორმონ მათთან მემორანდუმები და სამუშაო ადგილები გამოძებნონ თემის წევრებისთვის.

კიდევ ერთი იდეა, დასაქმების პრობლემის მოსაგვარებლად არის ლგბტქ თემის წევრებისთვის არაფორმალური განათლებისა და პროფესიული გადამზადების სხვადასხვა კურსის შესაძლებლობა. რაც გაზრდის თემის წევრების დასაქმების შანსებს.

## **II. ლგბტქ სათემო ორგანიზაციების საქმიანობის მათ შორის არსებული სერვისების შეფასება და სასურველი ცვლილებები**

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა აზრით, თემის წევრების ნაწილს აქვს უნდობლობა ორგანიზაციების მიმართ, რის მიზეზადაც ისინი ძირითადად გრანტებს ასახელებენ. მათი თქმით, მუსირებს აზრი, რომ ორგანიზაციის ლიდერები ნახულობენ დიდ სარგებელს, რომელიც რეალურად უნდა ხმარდებოდეს თემის წევრებს და არა მათ. აღნიშნულის მიზეზი, შესაძლოა, იყოს პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების, ასევე გრანტების მოპოვებისა თუ მართვის შესახებ ინფორმაციის არარსებობა ან არასწორი ინფორმაცია. ასევე, თემის წევრების გაღიზიანებას იწვევს ორგანიზაციის წარმომადგენლების საზღვარგარეთ ვიზიტები სხვადასხვა ტიპის ღონისძიებაზე, რადგან ეს შესაძლებლობა თემის რიგითი წევრებისთვის არ არის ხელმისაწვდომი. მათ მიაჩნიათ, რომ თემის წევრებს მეტად სჭირდებათ ასეთ ღონისძიებებში მონაწილეობა, რათა გაძლიერდნენ, მიიღონ განათლება და საჭირო უნარები.

ფოკუს-ჯგუფის რამდენიმე მონაწილემ აღნიშნა, რომ მათი დაკვირვებით ხშირად ხდება პროექტების განმეორება. მათი თქმით, რჩება შთაბეჭდილება, რომ არსებობს პროექტების შაბლონები და წლიდან წლამდე იგეგმება და ტარდება ერთი და იმავე შინაარსის აქტივობები. მათი აზრით, საჭიროა ინოვაციები და პროექტების განხორციელება თემის წევრების მაქსიმალური ჩართულობით. კერძოდ, პროექტის დაწერამდე უმჯობესი იქნება, თუ კი ორგანიზაციები აზრს ჰკითხავენ თემის წევრებს და მათი საჭიროებების მიხედვით დაგეგმავენ პროექტებს.

გამოკითხულთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ამ ტიპის ფოკუს-ჯგუფებით ორგანიზაციას უკეთ შეეძლება სამომავლო გეგმების დასახვა და თემის წევრების ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინება.

### **III. ტრადიციული და ახალი მედია პოლიტიკა ლგბტქ ადამიანების შესახებ: არსებული პრობლემები და სასურველი ცვლილებები**

კითხვაზე „ყვითელ გადაცემებში ან/და ისეთ გადაცემებში, სადაც რადიკალურად განწყობილი ჰომოფობი მოწინააღმდეგეები გვხვდებიან, ღირს თუ არა მონაწილეობის მიღება?“ რესპონდენტების პოზიციები ორ ნაწილად გაიყო. გამოკითხულთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ თემის წევრები და სათემო ორგანიზაციები უნდა დადიოდნენ ყველა გადაცემაში, მათ შორის ყვითელ გადაცემებშიც, რადგან ამით იზრდება მათი ხილვადობა. მათი აზრით, უნდა გამოიყენონ ნებისმიერი პლატფორმა აზრის დაფიქსირებისთვის.

გამოკითხულთა მეორე ნაწილის მიხედვით, ყვითელ გადაცემაში ან/და ისეთ გადაცემებში, სადაც რადიკალურად განწყობილი ჰომოფობი მოწინააღმდეგეები გვხვდებიან ლგბტქ აქტივისტებმა მონაწილეობა არ უნდა მიიღო, რადგან. ასეთ გადაცემებში მონაწილეობა წამგებიანია და არავითარი დადებითი შედეგი არ მოაქვს. ასევე, ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ თითოეულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს გადაცემის ხასიათი და მათში მონაწილეობის მიღების რისკები. იმ შემთხვევაში თუ ჩანს, რომ აპირებენ „შოუს“ დადგმას, შესაბამისმა პირებმა უნდა თქვან უარი მონაწილეობაზე.

რესპონდენტების აზრით, გადაცემებში უნდა დადიოდნენ კომპეტენტური პირები, რომელთაც აქვთ ინფორმაცია თითოეულ საკითხზე, არ აყვებიან პროვოკაციებს, შეძლებენ ნებისმიერი ჰომოფობისთვის პასუხის გაცემას, სპიკერებმა უნდა ისაუბრონ საზოგადოებისთვის გასაგებ და არა „ენჯელოშნიკურ“ ენაზე. გამოკითხულთა აზრით, ჰომოფობებთან საუბრისას, აუცილებელია შეინარჩუნონ სიმშვიდე და მაქსიმალურად ხალხისთვის გასაგებ ენაზე ესაუბრონ მათ. გადაცემაში უნდა იარონ მათ, ვისაც შეუძლია ემოციების მართვა და უნდა იყვნენ ნაკლებად აგრესიულები: *„ყვითელ გადაცემებშიც უნდა იარონ, მაგრამ წონასწორობა უნდა დაიცვან და როგორც არ უნდა ესაუბრონ, უნდა დაანახონ აუდიტორიას, რომ შენ მათზე ზევით ხარ და ეს თემა პრობლემურია და მნიშვნელოვანია და არაა აგრესიის და ერთმანეთის ხოცვის დრო.“*

თუმცა, ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებს ესმით, რომ არსებული ჰომოფობიური და ტრანსფობიური გარემოს გამო არსებობს ამ საკითხებზე სპიკერების ნაკლებობა. ამიტომ, ორგანიზაციებმა უფრო აქტიურად უნდა იმუშაონ თემის წევრებისა და აქტივისტების გაძლიერებაზე, რათა მედიაში თემის რეპრეზენტაცია იყოს უფრო მრავალფეროვანი და პროფესიული.

გამოკითხული პირებიდან ბევრმა აღნიშნა, რომ აქვთ გადაცემებში მონაწილეობისა და საზოგადოების სხვადასხვა ნაწილთან კომუნიკაციის სურვილი, მაგრამ არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია/არგუმენტაცია საჭირო თემებზე. რესპონდენტებმა ორგანიზაციას შესთავაზეს

კონკრეტული პირების - თემის ლიდერებისა და აქტივისტების სიის შექმნა და მათთან ტრენინგების ჩატარება.

გამოკითხულთა ნაწილს მიაჩნია, რომ უფრო მეტად შედეგის მომცემი იქნება, თუ თემის წევრები ივლიან ბიოგრაფიულ და არა დებატურ გადაცემებში, რითიც მიეცემათ შესაძლებლობა, საზოგადოებას მიაწოდონ დადებითი ინფორმაცია.

ასევე, გამოიკვეთა სურვილი, რომ გადაცემებში იარონ იურისტებმა და ფსიქოლოგებმა, რომლებიც საზოგადოებისთვის მისაღები არიან და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ისაუბრონ თემის პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე.

გამოიკვეთა, რომ გადაცემის პროდიუსერები ხშირად ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ იწვევენ თემის წევრებს გადაცემებში, რასაც ორგანიზაცია ვერ გააკონტროლებს, რადგან ზოგიერთ თემის წევრს ხშირად არ აქვს იმის ფინანსური შესაძლებლობა, რომ უარი თქვას ამგვარ შემოთავაზებებზე. გამოკითხულთა მცირე ნაწილის აზრით, სირთულის მიუხედავად, უნდა შეეცადოს ასეთ ადამიანებთან მუშაობას, უნდა ესაუბროს მათ და დაარწმუნოს, რომ თანხის სანაცვლოდ არ წავიდნენ გადაცემებში და არ ისაუბრონ იმგვარად, რომ დააზარალონ საკუთარი და თემის ინტერესები.

გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ გადაცემებში თემის წარმომადგენლები უნდა გამოჩნდნენ უფრო მეტად პოზიტიური კუთხით, და რაც შეიძლება ნაკლებად იყვნენ ჩაგრულის როლში.

მიაჩნიათ, რომ თემის წევრებმა უნდა ისაუბრონ არა მხოლოდ ჰომოფობიასა და ჩაგვრაზე, არამედ სხვა სოციალურ პრობლემებზეც: „ისინი აწყობენ გადაცემას იმ თემებზე, რაც ყველაზე აქტუალურია. ჩემი აზრით, როდესაც მიდიხარ შენ ესეთ გადაცემაში, რაღაც ისეთი სიმწვავე უნდა შემოიტანო, რაც არ არის ლგბტქ თემაზე. მაგალითად, ხაზი გავუსვათ, რომ ისეთი ოპონენტები მისხედან წინ, რომლებსაც არ ანაღვლებთ მაღაროებში რამდენი ხალხი იხოცება, რამდენი აბორტი კეთდება და ამ დროს ისინი მელაპარაკებიან მე ჩემს საყურეზე. რაღაც უფრო რეალური და სენსიტიური პრობლემის წამოწვევა საჭირო წინა პლანზე.“

გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ორგანიზაციებს უჭირთ ტელევიზიებთან კომუნიკაცია. მათი აზრით, საჭიროა იყოს განსაზღვრული პირობები, მაგალითად, შეუთანხმდე პროდიუსერს, რომ მოგცენ განსაზღვრული დრო სასაუბროდ და ასევე მათთან წინასწარ შეათანხმო სხვა დეტალები.

რესპონდენტები თვლიან, რომ ორგანიზაციებმა უნდა მოახდინონ მაქსიმალური რეაგირება ჰომოფობიურ გადაცემებზე, აუცილებელია ჟურნალისტიკის ეთიკის, ქარტიის ამოქმედება იმწუთიერად, როდესაც გადაცემა იქნება რადიკალურად ჰომოფობიური და მაშინვე მოხდეს განხილვა ეთიკის კოდექსის მიხედვით.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეების აზრით, ჟურნალისტები უნდა ტრენინგდებოდნენ რეგულარულად. ორგანიზაციები მათ უნდა უხსნიდნენ ლგბტქ სპეციფიკას და აწვდიდნენ მათ შესაბამის ცოდნასა და ინფორმაციას.



გაჩნდა სათემო ინტერნეტ ტელევიზიის შექმნის იდეა, სადაც გადაცემების წამყვანები თემის წარმომადგენლები იქნებიან, გადაცემები იქნება ნებისმიერ სოციალურ საკითხზე, და არა მხოლოდ თემის პრობლემებზე.

ასევე, აღინიშნა, რომ არის ლგბტქ საკითხებთან დაკავშირებული ლიტერატურის ნაკლებობა ქართულ ენაზე. საუბარია მხატვრულ და სამეცნიერო ლიტერატურაზე. სასურველია, რომ ორგანიზაციებმა თარგმნონ მნიშვნელოვანი სტატიები თუ წიგნები გენდერის, სექსუალობის და მომიჯნავე საკითხების შესახებ.

ასევე, გაჩნდა YOUTUBE-ზე გვერდის შექმნის იდეა, სადაც დაიდება ვიდეოები, სადაც თემის წევრები ისაუბრებენ საკუთარ თავზე, პროფესიაზე, წარმატებებზე. გაკეთდება გადაცემები სხვადასხვა მიმართულებაზე, მაგალითად: ჯანმრთელობაზე, ექიმებზე, ფსიქოლოგებზე, იურისტებზე.

გამოკითხულთა აზრით, კამპანიები აქტიურდება მხოლოდ 17 მაისის აქციისთვის. მათი თქმით, პროდუქტები უნდა იქმნებოდეს მუდმივად, რათა საზოგადოებაში ცნობიერება ამაღლდეს და დაიძლიოს ნეგატიური განწყობები.

ფოკუს-ჯგუფებზე დამსწრე პირებისთვის გამაღიზიანებელი აღმოჩნდა პოსტერებზე სიტყვა „ძალადობის“ ხშირი ხსენება და გამოხატეს სურვილი, რომ აქცენტი პოზიტიურ თემებზე გააკეთონ.

#### **IV. ლგბტქ ადამიანების შესახებ გავრცელებული სტერეოტიპები და კონტრარგუმენტების საკითხი**

ამ ნაწილში მკვლევარი ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებს წარუდგენდა კონკრეტულ მითებსა და სტერეოტიპებს, რაც ლგბტქ ადამიანების გარშემო არსებობს და ეკითხებოდა კონკრეტულად რა ინფორმაციისა და კონტრარგუმენტების გააჟღერება იქნებოდა მათი აზრით ეფექტური ამავე მითებისა და სტერეოტიპების დასაძლევად. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებს უჭირდათ კონკრეტული მესიჯებისა თუ არგუმენტების დასახელება, რასაც მოყვანილი სტერეოტიპების საპირისპიროდ გააჟღერებდნენ. დისკუსია თითქმის ყველა ფოკუს-ჯგუფის შემთხვევაში კონცენტრირდებოდა სტერეოტიპების დაძლევის შესაძლო გზებზე, ფორმებსა და აქტივობებზე მაგ. კამპანიების განხორციელება მშობლების მონაწილეობით და სხვ.

აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ თემის წევრებს ნაკლებად უფიქრიათ კონკრეტულ მესიჯებსა და არგუმენტებზე, რაც გავრცელებული მითებისა და სტერეოტიპების დასაძლევად შეიძლება იქნას გამოყენებული. ამის მიზეზი კი შესაძლოა იყოს ისეთი სააზროვნო სივრცეების და შესაძლებლობების სიმცირე, სადაც თემის წევრებს ეძლევათ შესაძლებლობა განიხილონ ყველაზე მეტად გავრცელებული სტერეოტიპები და იმუშაონ კონკრეტული მესიჯების/არგუმენტების ჩამოყალიბებაზე.

რაც შეეხება სტერეოტიპებთან გამკლავების ეფექტურ გზებს, გამოკითხულები აღნიშნავენ, რომ საჭიროა თემის წევრების მშობლების ჩართვა კამპანიებში, რათა სხვა მშობლების ყურამდეც მივიდეს ინფორმაცია. მათი თქმით, ეს ყველაზე დიდ გავლენას მოახდენს იმ მშობლებზე, რომლებიც საკუთარ შვილებს დევნიან, იმის მაგივრად, რომ მიიღონ და დაიცვან.

სანდოობის ამალღებისთვის, მიაჩნიათ, რომ საჭიროა ცნობადი სახეების ჩართვა, ვიდეომოწოდებები.

ასევე, გაჟღერდა, რომ კარგი იქნებოდა იუმორის ჩართვა:

*„მე გამახსენდა ის თამაში, მღვდელი რომ „ტაბურეტკით“ დადიოდა, სოციალურ ქსელში იყო გავრცელებული. საინტერესო იქნებოდა ზოგადად იუმორის გამოყენებაც. ჰომოფობიის კატეგორიის გადაყვანა დაცინვით ფორმებში. სატირა არის ხშირად ძალიან კარგი მეთოდი. თუმცა, ეს ყველაფერი სენსიტიურად უნდა გაკეთდეს, რომ აგრესიაში არ გადაიზარდოს“ ...*

*„ჩემთვის, მაგალითად, იუმორით რომ იყოს, და რომ არ იყოს ტრაგიკული ვიდეოები, უფრო კარგი იქნება. სულ მსხვერპლის როლში ყოფნა ძალიან დამღლეულია.“*

თემის წევრებს მნიშვნელოვნად მიაჩნიათ მითებსა და სტერეოტიპებზე ნებისმიერი სახის კამპანიის დაწყება, რათა „საზოგადოებამ გაიგოს რა არის სიმართლე და რა ტყუილი“, ასევე, აღინიშნა, რომ კარგი იქნებოდა, თუ შეიქმნებოდა ტერმინების განმარტებითი პოსტერები.

სტერეოტიპების დასარღვევად, მიაჩნიათ, რომ საზოგადოებამდე უნდა მიიტანონ მესიჯი, რომ არ არიან განსხვავებულები, არიან სხვებისნაირი ადამიანები.

ერთ-ერთ გავრცელებულ სტერეოტიპთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც ლესბოსელ ქალებს სძულთ მამაკაცები, დასახელდა საპასუხო მესიჯი: *„მე მიყვარს ჩემი ძმა, მე მიყვარს მამაჩემი. და არ მძულს ზოგადად კაცები მხოლოდ იმიტომ, რომ გეი ან ლესბოსელი ვარ. მე მაქვს მათთან ნორმალური ურთიერთობა, მათ მიმიღეს“.*

## **რეკომენდაციები ლგბტქ ორგანიზაციებისთვის:**

- სათემო ორგანიზაციებმა გაადლიერონ მუშაობა თემთან, რათა ამალღდეს განათლების და ცნობიერების დონე, ამ გზით კი შემცირდება თემის შიგნით ჩაგვრა და თემი გახდება მეტად ერთიანი;
- ლგბტქ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებმა დასახონ საერთო სტრატეგიები და იმუშაონ კოორდინირებულად;
- უფრო მეტი აქცენტი გაკეთდეს რეგიონებზე, დაემატოს სერვისები რეგიონებში მცხოვრები ლგბტქ ადამიანებისთვის;
- უფრო აქტიურად გავრცელდეს ინფორმაცია ასეთი ტიპის ორგანიზაციების არსებობაზე, მათ საქმიანობაზე განსაკუთრებით კი არსებულ სერვისებზე;
- ორგანიზაციებმა აქტიურად იმუშაონ კერძო სექტორთან და შეეცადონ ლგბტქ ადამიანებისთვის სამუშაო ადგილების მოძიება;
- ამავედროულად, არაფორმალური განათლების მიწოდების გზით დაეხმარონ თემის წევრებს გარკვეული კვალიფიკაციის შექმნაში, რაც ასევე დაეხმარება ლგბტქ ადამიანებს დასაქმებაში;

- ორგანიზაციებმა თემის წევრებს მისცენ საზღვარგარეთ სხვადასხვა ღონისძიებაში და თუ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა;
- ორგანიზაციებმა თავისი საქმიანობა გახადონ მეტად გამჭვირვალე, თემის წევრებთან სწორი კომუნიკაციის გზით მიაწოდონ ინფორმაცია გრანტების მიღების, პროექტების განხორციელების პრინციპებზე და პროცესზე;
- ორგანიზაციებმა აქტიურად დაატრენინგონ ჟურნალისტები, ექიმები და პოლიციელები;
- გახშირდეს თემთან კომუნიკაცია განსაკუთრებით პროექტების დაწერის წინ;
- ორგანიზაციებმა იმუშაონ ახალი სპიკერების „გაზრდაზე“, ჩატარდეს ტრენინგები მედია საკითხებზე თემის ლიდერებისთვის და ასევე ტრენინგები/ვორკშოპები, სადაც თემის ლიდერებს/აქტივისტებს ექნებათ შესაძლებლობა იმუშაონ კონკრეტული გზავნილების ჩამოყალიბებაზე, რომლებსაც გააჟღერებენ საზოგადოებაში გავრცელებული მითებისა და სტერეოტიპების საპირისპიროდ;
- აქტივისტებმა და ორგანიზაციების წამომადგენლებმა ისაუბრონ ფართო საზოგადოებისთვის გასაგებ ენაზე;
- შექმნან ისეთი მედია პროდუქტები, სადაც თემის წევრები არ იქნებიან დაჩაგრულის როლში, არამედ აქცენტი გაკეთდება მათ მიზნებზე, მიღწეულ წარმატებებზე და სხვა დადებით ასპექტებზე;
- მედია კამპანიები არ ჩატარდეს მხოლოდ 17 მაისის დროს, არამედ წლის დანარჩენ პერიოდშიც;
- სირთულის მიუხედავად, ორგანიზაციებმა შეეცადონ იმუშაონ მედიაში გამომსვლელ იმ ლგბტქ ადამიანებთან, რომლებიც საკუთარი გამოსვლებით აზარალებენ ლგბტქ თემს.